ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1288413

ნომერი: AR1221305

თარიღი : 20.05.2014

გაცემის თარიღი : 27.05.2014

გაცნობის თარიღი : 09.06.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკ. წერეთლის გამზირი , N 149 , მდ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე , დიღმის ხიდიდან ქსნის ქუჩისკენ , ჩასასვლელ გზასთან ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გურანდა გაგუა პ/ნ 29001006542
- მარტვილი ს. დიდი ჭყონი

ორგანიზაცია:
- შპს პეპელა+ კოდი: 202454058

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსუპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება და გამომდინარე აქედან, ვინაიდან აღნიშნული ობიექტი განთავსებულია ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, მოგახსენებთ შემდეგს: არქიტექტურის სამსახურს თქვენ მიერ ატვირთული ფოტომონტაჟის შესაბამისად მსგავსი ტიპისა და ფუნქციური დანიშნულების სარეკლამო აბრების განთავსება მიზანშეწონილად არ მიაჩნია. მიუღებელია მსგავსი მოცულობით და სტრუქტურული ფორმით, ფართო მასშტაბიანი სახით არსებული ვიტრინების ათვისება.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან სამსახური თქვენს მოთხოვნას სარეკლამო აბრების მოწყობაზე თანხმობის გაცემის თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს. შესაძლებელია სტიკერების მოწყობა განხორციელდეს ვიტრინების შიგნიდან, რაც არქიტექტურის სამსახურისგან არ საჭიროებს შესაბამისი ნებართვის გაცემას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge